

კითხვარი იმერეთისა და სამეგრელოს კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები
იძულებით გადაადგილებულ პირთათვის

- 1) რამდენი წევრია თქვენს ოჯახში და ხართ თუ არა დარეგისტრირებული როგორც ერთი კომლი?
- 2) როდის და როგორ გადმოხვედით ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე?
(სახელმწიფო ორგანოს დახმარებით თუ რაიმე სხვა გზით?)
- 3) იყავით თუ არა დარეგისტრირებული სხვა კოლექტიურ ცენტრში ან კერძო სექტორში სანამ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე გადმოხვიდოდით?
- 4) თუკი ცხოვრობდით სხვა კოლექტიურ ცენტრში რომელი ობიექტიდან (დაასახელეთ ობიექტი) მოხდა თქვენი გადმოყვანა ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას და როდის?
- 5) რამდენი იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობდა იმ ობიექტზე და რამდენი წლის განმავლობაში? სად არიან ამჟამად ის პირები?
- 6) ხართ თუ არა თქვენ ან თქვენი ერთერთი ოჯახის წევრი რეგისტრირებული რომელიმე სხვა კოლექტიურ ცენტრში ან კოტეჯში, თუ კი, კონკრეტულად სად?
- 7) რამდენი ოჯახი ცხოვრობს თქვენს კოლექტიურ ცენტრში ამჟამად? საიდან გადმოვიდნენ ისინი?
- 8) გაქვთ თუ არა ამხანაგობა თქვენს კოლექტიურ ცენტრში და როგორ მუშაობს ის?
- 9) ამჟამინდელი შენობა დაკავებული აქვთ მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებს თუ არიან აგრეთვე სხვა პირებიც?
- 10) გაგაჩნიათ თუ არა მფლობელობის ან რეგისტრაციის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ბინა რომელშიც ამჟამად ცხოვრობთ თქვენს საკუთრებაშია? თუ არა, მოსულა თუ არა თქვენთან ვინმე ამ საკითხთან დაკავშირებით და მათი ინფორმაციით, როდისთვის ელოდებით პრივატიზაციის პროცესის დასრულებას თქვენს კოლექტიურ ცენტრში?
- 11) როგორია ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობები თქვენს კოლექტიურ ცენტრში და არის თუ არა ის უკეთესი თქვენს წინა კოლექტიურ ცენტრში არსებულ პირობებთან შედარებით?
 - a. პირადულობა
 - b. ოთახებისა და კვადრატული მეტრების განაწილება თითოეულ ოჯახზე?
 - c. წყლის, გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდება? (არის თუ არა ელექტროენერჯისა და გაზის სადენები თქვენს კოლექტიურ ცენტრში, კვლავაც იღებთ თუ არა სახელმწიფო სუბსიდიას კომუნალური ხარჯების დასაფარად? თუ კი, სრულად ფარავს თუ არა ეს სუბსიდია აღნიშნულ ხარჯებს?
 - d. საპირფარეშოები? (მაგ: საერთო თუ კერძო, კმაცოფილები არიან თუ არა იძულებით გადაადგილებული პირები?)
 - e. ჭერი, კედლები, ფანჯრები?
 - f. ხელმისაწვდომობა სკოლასა და ტრანსპორტზე
- 12) კმაცოფილი ხართ თუ არა ზოგადად რემონტის ხარისხით, რომელიც ჩატარდა თქვენს კოლექტიურ ცენტრში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაქირავებული სამშენებლო კომპანიების მიერ? თუ არა, რა ძირითადი პრობლემები წარმოიქმნა სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ?

- 13) გქონდათ თუ არა შესაძლებლობა თავად აგერჩიათ რომელი სამშენებლო მასალა უნდა გამოყენებულიყო რემონტისათვის? (მაგ.: კაფელი, საღებავი, პარკეტი, ჩარჩოები, განათებისა და სააბაზანო აღჭურვილობა)
- 14) რა მოცულობის სარემონტო სამუშაოები შეასრულეს სამშენებლო კომპანიებმა და დაახლოებით რა მოცულობით იყო თავად იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო ინვესტიცია?
- 15) მიმართეთ თუ არა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალურ ოფისებს იმ შემთხვევაში თუ არ იყავით კმაყოფილი რემონტის ხარისხით და თუ კი, როგორი იყო მათი რეაქცია?
- 16) მოვიდნენ თუ არა სამშენებლო კომპანიები თქვენთან ხელმეორედ რათა შეეკეთებინათ რემონტის შემდგომი დეფექტები თქვენს კოლექტიურ ცენტრში? თუ კი, რამდენჯერ იყვნენ მოსულნი და ბოლოს როდის იყვნენ?